ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

31 ივლისი, სამშაბათი. 1990 წ.
№ 143 (10812)

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

SEATTLE '90 GOODWILL GAMES

დავითი და გოლიათი...



დავით გობეჯიშვილი

სიეტლი. ისინი ზედმიწევნით კარგად იცნობენ ერთმანეთს, ურთიერთობაც მეგობრული აქვთ, მაგრამ მანამ, სანამ სარბიელზე გამოვლენ. მერე კი... დავით გობეჯიშვილი და ამერიკელი ბრიუს ბაუმჰარტნერი, როგორც წესი, მხოლოდ პირველობისთვის იბრძვიან.

ქართველი ფალავანი მას შემდეგ, რაც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ოლიმპიურ ოქროზე ოცნებობდა და გულის წადილი 2 წლის წინ, სეულში აისრულა. ბაუმჰარტნერი ამ დროისათვის უკვე იყო ოლიმპიური ჩემპიონი. ეს მაღალი ტიტული მან 1984 წელს ლოს-ანჯელესის თამაშებში მოიპოვა. წარმატებამ, რა თქმა უნდა, გაახარა, მაგრამ ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მაინც დარჩა იმის გამო. რომ იმ თამაშებში საბჭოთა მოჭიდავეები არ გამოსულან და მთლად ღირსეულად გამარჯვება არ მიაჩნდა.

სეულში ორივეს მიეცა შესაძლებლობა ბოლომდე გამოეჩინა უნარი. მათი, ასე ვთქვათ, დასწრებული დავა პირველობისთვის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირის კვირგვინი იყო, გოლიათთა ამ დავაში გამარჯვება დავითს დარჩა.

კეთილი ნების თამაშებზე ამერიკელი მოჭიდავე განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა. რევანშის გარდა მას დიდი სურვილი ჰქონდა დაემტკიცებინა ყველასათვის. რომ მსოფლიოში უძლიერესი სწორედ ის არის და სეულის შედეგი მხოლოდ გაუგებრობა იყო. ამ მხრივ ბაუმჰარტნერს მართლაც გარკვეული ფსიქოლოგიური უპირატესობა ჰქონდა. თანაც საბჭოთა კავშირისა და ამერიკის მოჭიდავეთა გუნდური ბრძოლა მასპინძლებისთვის აშკარად ხელსაყრელ პირობებში ვითარდებოდა. მძიმეწონასანთა შეხვედრის წინ ამერიკელებმა გუნდური გამარჯვება გაიხალდეს და ბაუმჰარტნერსაც მოეხსნა პასუხისმგებლობის გრძნობა.

ფავორიტთა ასეთ პრინციპულ შეხვედრაში გადამწყვეტი შეიძლება აღმოჩნდეს ერთი შეცდომა, ერთი დაკარგული ქულა. ამერიკელმა ამ დღეს სამი ასეთი ქულა დაკარგა. გობეჯიშვილმა — მხოლოდ ერთი. ამ გამარჯვებით ქართველმა ფალავანმა ერთხელ კიდევ დაუმტკიცა ყველას, რომ მძიმე წონაში არ ჰყავს ბადალი. ქართული სპორტის გულშემატკივრებისთვის დავითის წარმატებას პრესტიჟულის გარდა პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს— ეს არის ჩვენი თანამემამულის მიერ მოპოვებული პირველი ოქროს ჯილდო კეთილი ნების თამაშებში.

პროგნოზები ხშირად არ მართლდება. კალათბურთელ ვაჟთა ფინალში, სადაც ერთმანეთს ამერიკელსა და იუგოსლავიის გუნდები უნდა შეხვედროდნენ, სპეციალისტთა უმრავლესობა უპირატესობას ტურნირის მასპინძლებს ანიჭებდა. ამერიკელებმა წინასწარი შეხვედრები მართლაც კარგად ჩაატარეს, მაგრამ დიუკის უნივერსიტეტის გუნდს, ნაკრები კი სწორედ ამ უმაღლესი სასწავლებლის კალათბურთელებით იყო დაკომპლექტებული, აკლდა საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილება და როგორც კი შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა, დაიბნა. ამით კარგად ისარგებლეს იუგოსლავიელებმა, ხელთ იგდეს ინიციატივა და ბოლომდე შეინარჩუნეს იგი — 85:79 (34:31).

საბჭოთა ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა. ბრინჯაოს ჯილდო მან ბრაზილიელებთან ძნელ ბრძოლაში მოიპოვა — 109:103 (57:53). გამარჯვებულისთვის მთავარ პრობლემას ოსკარ შმიდტის ნეიტრალიზება წარმოადგენდა. ამ ამოცანის გადაჭრას ცდილობდნენ მორიგეობით გუნდარს ვეტრა და ვიქტორ ბერეჟნოი, მაგრამ ამაოდ. შმიდტმა თავისი საქმე მაინც გააკეთა და გუნდს 44 ქულა შესძინა (იგი, სხვათა შორის, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა —183 ქულა).

შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ზუსტმა სამქულიანმა სროლებმა; საბჭოთა კალათბურთელებმა თხუთმეტი „სამქულიანი“ ზუსტად მოახვედრეს მიზანს. აქაც თავი სხვებზე უფრო შეტად ვალერი ტიხონენკომ გამოიჩინა, რომელმაც გუნდს საბოლოო ჯამში 30 ქულა მოუტანა. ეფექტურად ითამაშეს სერგეი ბაზარევიჩმა (24 ქულა) და ვიქტორ ბერეჟნოიმ (23 ქულა).

იუგოსლავიელ სპორტსმენთა წარმატებით აღინიშნა წყალბურთელთა ტურნირიც. ოღონდ ფინალში მათი მეტოქე, ამჯერად, საბჭოთა სპორტსმენები იყვნენ. თავიდანვე ვიტყვით, რომ შეხვედრისთვის განკუთვნილმა ძირითადმა დრომ უძლიერესი ვერ გამოავლინა — 6:6.

პირველ დამატებით სამ წუთში მეტოქეებმა ერთმანეთის კარში ორ-ორი გოლი გაიტანეს. და აი, მეორე დამატებით დროში გამოჩნდა მთელი ძალით იუგოსლავიელი მილანოვიჩის მაღალი ოსტატობა, რომლისაც ტყუილად როდი ეშინოდათ საბჭოთა მეკარეთ. მან ჯერ თვითონ გაიტანა ლამაზი გოლი, მერე კი ხელსაყრელ პოზიციაში გაიყვანა პოპოვიჩი. გამარჯვება იუგოსლავიელებმა მოიპოვეს ანგარიშით — 10:8 (2:1, 2:0, 0:2, 2:3, 4:2). უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა წყალბურთელებსაც ჰქონდათ რამდენიმე კარგი მომენტი, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს იუგოსლავიელთა უნაკლოდ მოთამაშე მეკარე პოსინკოვიჩს.

ბრინჯაოს მედლები უნგრელმა წყალბურთელებმა დაისაკუთრეს, რომლებმაც ბოლო მატჩში ესპანეთის გუნდი დაამარცხეს — 10:7 (5:0, 2:2, 1:3, 2:2).

სიეტლის მახლობლად ქალაქ სპოკანში ჩატარდა ძალოსანთა მინიტურნირი, რომელსაც მხოლოდ ერთი კალენდარული დღე დაეთმო. შეჯიბრება სამი დამოუკიდებელი ნაწილისგან შედგებოდა. თავდაპირველად მოეწყო რეკორდსმენთა ასპარეზობა, მერე კი საპრიზო ადგილები მძიმე (110 კგ) და ზემძიმე (110 კგ-ზე ზემოთ) წონების ათლეტებმა გაითამაშეს.

რეკორდსმენთა ტურნირის მონაწილეთაგან, ცხადია, მსოფლიო რეკორდებს ელოდნენ, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. პირველი ადგილი 52 კგ წონის ათლეტმა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა, ბულგარელმა ივან ივანოვმა დაისაკუთრა. მან 257,5 კგ დააგროვა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ოლიმპიური ჩემპიონი, რუმინელი ნიკუ ვლადი (100 კგ), მესამეზე კი—კვლავ ბულგარელი იოტო იოტოვი (67,5 კგ). ოლიმპიური ჩემპიონი ანატოლი ხრაპატი (90 კგ) ამ ტურნირში მეხუთე იყო.

მძიმე წონაში ოქროს მედალი ხვდა მსოფლიო თასის მფლობელ სტეფან ბოტევს (ბულგარეთი) — 435 კგ. მასთან ერთად გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე ავიდნენ ევროპის ჩემპიონი სერგეი კოპიტოვი — 410 კგ და რიზვან ველისხანოვი — 410 კგ.

საბჭოთა ძალოსანთაგან სპოკანში ერთადერთი პირველი ადგილი ზემძიმე წონის ათლეტმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ალექსანდრე კურლოვიჩმა მოიპოვა (450 კგ), მეორე ადგილიც საბჭოთა ძალოსანს, ოლიმპიურ ჩემპიონს ლეონიდ ტარანენკოს ხვდა (436 კგ), მესამე — ბულგარელ მიტკო მიტევს (400 კგ).

ევროპის ჩემპიონატი მშვილდოსნობაში

ეს საოცარი მშვილდოსნები!

ნატო ნასარიძე ორგზის ჩემპიონია, ხათუნა ქვრივიშვილი—ჩემპიონი

საოცარი რამეა ნიჯი, ეს უხილავი, არამატერიალური განძი, ბევრის შემძლე და გადამლახველი. იგი სპორტშიც აადვილებს ყველაფერს: მწვრთნელთა შრომას, მატერიალური ხელშეწყობის პრობლემებს...

ორიოდე დღის წინ მართლაც საოცარ შედეგებს მიაღწია ორმა თბილისელმა მშვილდოსანმა გოგონამ — 18 წლის ნატო ნასარიძემ და მასზე ერთი წლით უმცროსმა ხათუნა ქვრივიშვილმა: ერთი ევროპის ჩემპიონი გახდა, მეორე — პრიზიორი. და ეს მოხდა არა იუნიორთა შეჯიბრებაში, სადაც, თითქოს უფრო უპრიანი იყო (ასაკის გათვალისწინებით) მათი გამოსვლა, არამედ უმნიშვნელოვანეს ტურნირებში გამობრძმედილ სახელოვან ოსტატთა ჩემპიონატში (რომელსაც ბარსელონამ უმასპინძლა). ეს იშვიათი და ჩვენთვის მეტად სასიხარულო სენსაციაა!

კონტინენტის ჩემპიონატის დასკვნით, ფინალურ ნაწილში („ფიტას დიდი წრე“) ნატომ 330 ქულა მოაგროვა და ერთი ქულით გაუსწრო სახელოვან მოსკოველ მსროლელს ლუდმილა არჟანიკოვას, მაგრამ ხათუნაც მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა ვერცხლის პრიზიორს. იოლი მისახვედრია, თუ რა უშელავათო ბრძოლაში მოიპოვეს ჩვენმა მოისარეებმა ოქროსა და ბრინჯაოს მედლები.

ნასარიძესა და ქვრივიშვილთან (ორივე — „მართვე“) ერთად ამ უდიდეს წარმატებას ვულოცავთ აგრეთვე მათ ახალგაზრდა მწვრთნელებს — ვლადიმერ ლეკვიშვილს და ალექსანდრე მეჟევიძეს. მით უმეტეს, რომ ამ ოთხეულს ჯერჯერობით ისეთ პირობებში უხდება მუშაობა, რომელსაც, ალბათ ვერ დააჯერებს ევროპის ჩემპიონატის ვერც ერთი მონაწილე, ვერ დაიჯერებენ მათი მწვრთნელები. ან კი ვის გაუგია ევროპის ჩემპიონისა თუ პრიზიორის მომზადება ფაქტობრივი უბაზობის პირობებში (თბილისში მხოლოდ ახლა იწყებენ მშვილდოსანთა სასროლეთის აშენებას).

ნატო ნასარიძე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორე კურსზე სწავლობს, ხოლო ხათუნა ქვრივიშვილი მეთერთმეტე კლასში გადავიდა. მათ მრავალგზის დაამტკიცეს თავიანთი ნიჭი და გამორჩეული მონაცემები, მაგრამ ეს უკანასკნელი „არგუმენტი“, კიდევ ვიმეორებთ, მართლაც საკვირველი იყო.

არ დაგავიწყდეთ, ბარსელონა მომავალი ოლიმპიადის ქალაქია, ხოლო ჩვენი მშვილდოსანი გოგონები კი ასე ახალგაზრდები არიან.

• • •

სურათებზე: ნატო ნასარიძე (მარცხნივ), ხათუნა ქვრივიშვილი.

გაზეთის დაბეჭდვის წინ

როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, ჩვენი მშვილდოსნების წარმატება ამით არ ამოწურულა: მათ ბრწყინვალედ იასპარეზეს გუნდურ შეჯიბრებაში და ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს ლუდმილა არჟანიკოვასთან ერთად. ამ სამეულმა 987 ქულა დააგროვა და შთელი 27 ქულით გაუსწრო შვეიცის გუნდს, რომელიც მეორე ადგილზე გავიდა.

ამრიგად, ნატო ნასარიძე კონტინენტის ორგზის ჩემპიონი გახდა, ხათუნა ქვრივიშვილის წილად კი ერთი ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოდის.

დავით ხახალეიშვილის წარმატება

პერმი. ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც აქ ტრადიციულად ტარდება, უძლიერესი საბჭოთა ათლეტები არ მონაწილეობდნენ (ისინი სიეტლში კეთილი ნების თამაშებზე იმყოფებიან), ამიტომ საპრიზო ადგილები უმთავრესად ახალგაზრდებმა მოიპოვეს.

ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: ლენინგრადელი ძმები ამდულაევები, ჩელიაბინსკელი ევგენი კლიუკინი, პერმელები: დიმიტრი სერგეევი და ალექსანდრე კასკოვი. გამარჯვებულთა შორის არიან ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილი ძიუდოისტებიც — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები — ჩელიაბინსკელი გივი გაურგაშვილი, ქუთაისელი დავით ხახალეიშვილი და სპორტის დამსახურებული ოსტატი, კურსკელი იური მერკულოვი.

გთხოვთ, ჩართოთ ფირი...

ნავები, ქულები, პროგლემები

უპირველეს მოსაბეზრებელი არაფერია აფროსნობაში — დგანან და ელიან ნავები ქარს. ასეა, ზღვაოსნებისთვის უქარობაც ამინდის პირველეულობაა.

პლაჟზე სანებივრად ასეთი ამინდი, იცოცხლეთ, მისწრებაა, მაგრამ აფროსანთა რბოლის ხილვას თუ ისურვებთ, უეცრად ჩამდგარი ქარი არც თქვენ დაგაყრით ხეირს — წარმოიდგინეთ, კინოსეანსზე ფირი გაჩერდეს და ეკრანზე კარგა ხანს ერთი კადრი „გაიყინოს“. დარბაზში კი ატყდება მექანიკოსის დასაფეთებელი ჩვენებური სტვენა-ყიჟინი, მაგრამ ზღვაზე ვის ასძახებ „მეხაშეს“ და „მეწაღეს“?! სხვა გზა არ არის, ქარს უნდა დაელოდო და ვინ იცის, რამდენ ხანს. თუ დაუბერა, „წამოვიდაო“ — შეუძახებენ ერთმანეთს ეკიპაჟების წევრები და ერთ წამში ამოძრავდება „გამოსახულება“, თუ არადა, ბუქსირით გამოიყვანენ ნაპირზე აფრადაშვებულ ნავებს და ყურებჩამოყრილ მეზღვაურებს.

ახლახან ფოთში რესპუბლიკის X სპარტაკიადის პროგრამით გამართულ საქართველოს თასის გათამაშებაზე მსგავსი არაფერი მომხდარა — ამინდიც საზღვაოსნო იყო და შეჯიბრებაც ნორმალურად ჩატარდა, მაგრამ ვერც შტილის შეგრძნებას დავალწიეთ თავი და ვერც იმ უიღბლო კინომაყურებლის როლში ყოფნას, წეღან რომ ვახსენეთ. ძნელი მისახვედრი არ არის, საით „ვუკაკუნებთ“. დიახ, წლები გადის და არაფერი იცვლება, წინასწარვე უშეცდომოდ შეიძლება იმის დასახელება, რომელი გუნდი რომელ ადგილს დაიკავებს, ვის გამოიყვანენ მწვრთნელები და ა. შ. ერთი სიტყვით, მოსაწყენი სიმშვიდეა, მყუდროების დამრღვევი გვენატრება: შეიკრიბება ოთხი გუნდი, აჭარა და აფხაზეთი „გაითამაშებენ“ პირველ ადგილს, რომელიც, რა თქმა უნდა, ბათუმელებს დარჩებათ, ფოთელები კი, თავის მხრივ, თბილისელებს აჯობებენ. აი, სულ ესაა მთელი სიუჟეტი, რომელიც წლიდან წლამდე მეორდება და აისახება შეჯიბრებების ოქმებში, რომლებიც ტყუპისცალებივით გვანან ერთმანეთს. ვინმე თუ მკითხავს, ხომ არ აჭარბებ, მოსაწყენ სიშვიდესა და მყუდროებაზე რომ ლაპარაკობ, გურამ ბიგანიშვილი დაგვიწყდა თუ კარინა ბაღდასაროვას ბოლოდროინდელი წარმატებებია, პასუხს ვაცემ არ გამიჭირდება. ბიგანიშვილი იმ დროს დაოსტატდა და ჩამოყალიბდა აფროსნად, როცა საქართველოში ამ სახეობის წარმომადგენელთა შორის შეუდარებლად მძაფრი კონკურენცია იყო; რაც შეეხება კარინა ბაღდასაროვას, მის კლასში (აფრიანი დაფა) არსებულ სავალალო მდგომარეობას ისიც ადასტურებს, რომ თასის წლევანდელ სასპარტაკიადო გათამაშებაში, რომელშიც კარინა არ მონაწილეობდა, აფრიანი დაფით მხოლოდ ერთმა გოგონამ იასპარეზა. ასე რომ, ერთეულთა ნიჭიერება და მათი მიღწევები ვერაფერი საბუთია იმის სამტკიცებლად, რომ საქმე წინ მიგვდის.

უმისამართო საყვედურები, მოგეხსენებათ, სასაცილოა, ამიტომ უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩავიგდო თავი, მისამართებიც უნდა დავაზუსტო. თავის წილ საყვედურს ადგილებზე მომუშავე მწვრთნელები ნამდვილად ვერ აიცილებენ. ამ კატეგორიის მწვრთნელების საქმიანობა ნებისმიერი სახეობის ბალავერია და ამ ბალავერს თუ ბზარი დაეტყო, სხვას ვის უნდა მოვკითხოთ. ფაქტია: გამოცდილთა ოსტატობის დონე არა და არ მაღლდება და არც ახალი სახელები გვესმის. მაგრამ ნეტავი მარტო ეს იყოს ჩვენი აფროსნობის უღონობის მიზეზი. მწვრთნელებთან თუ ამ საკითხზე წამოიწყეთ ლაპარაკი, უმრავლესობა ელინგისკენ გაიშვერს ხელს, წარმოთქვამს ერთ ჯადო სიტყვას და, მერწმუნეთ, თქვენი კრიტიკული პათოსი წყალგადასხმული ცეცხლივით ჩაქრება. ის კი არა, სიღარიბით შეღონებული კაცის ოხვრაც შეიძლება აღმოგხდეთ. გაინტერესებთ, ალბათ, რა ჯადო სიტყვაა ისეთი, ფარივით რომ იცავს მწვრთნელებს. „მატნაწილზე“ (მატერიალურ ნაწილზე) მოგახსენებთ, ადამიანურ ენაზე ავლა-დიდებას რომ ნიშნავს. ჩვენი ელინგები (ნავების შესანახი ადგილი) ჩვენი გასტრონომებივითაა და, რა მოგიციათ, რას მთხოვთო, რომ იკითხავს მწვრთნელი — რას უპასუხებთ, თუ მაინც დაიჟინეთ და მართალიც იქნებით, ალღოზე, ინიციატივაზე და მონდომებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული, იმას როგორ იყენებთ, რაც გაქვთო, მოგიგებენ — ოცდაოთხი საათი რომ წყლიდან არ ამოვიდე, იმას მაინც ვერ ვაჯობებ, ვინც ჩემზე მდიდარიაო და არც ისინი იქნებიან მტყუანნი. ეს რომ მართლაც ასეა, ამას ადასტურებს გუნდური შედეგების ცხრილი, რომელიც „ქონებრივ რეიტინგადაც“ შეიძლება ჩაითვალოს — ვისაც მეტი ქულა აქვს, იმას მეტი ნავი აქვს და უკეთეს პირობებშიც მუშაობს. — ახალს, რა თქმა უნდა, არაფერს ვამბობთ — აფროსნობა ძვირი და ხარჯიანი სახეობაა, ჩვენი ზღვაოსნები დალხენილები არასოდეს ყოფილან, დღევანდელი ცვლილებების პერიოდში კი ბევრი რამ უფრო გართულდა (ჯერ მარტო ბენზინის პრობლემა რად ღირს). აშკარაა, რომ ამ სახეობას ახლებური, დროის შესატყვისი, უალრესად რაციონალური გაძღოლა სჭირდება. ეს, ცხადია, დროის საქმეა, დროისა, რომელიც ჯერჯერობით თვითონ გვკარნახობს პირობებს...

დასასრულ, გგაცნობთ გუნდური შედეგების ცხრილს — ბათუმელებმა 421 ქულა „წაიღეს“ შინ, სოხუმელებმა — 400, ფოთელებმა— 371, თბილისელებმა — 211. კლასების მიზედვით საუკეთესონი იყვნენ კობა გოდიბაძე („ფინი“, თბილისი), რუსლან გვათუა და ოქსანა შელეპოვა (აფრიანი დაფა, ორივე — სოხუმი), იგორ გვარამია („ტორნადო“, ბათუმი), ანასტასია კონეცკაია („მინისხვი“,. ფოთი), მიხეილ კილასონია („სხივი“ — მსუბუქი წონა, ფოთი), დავით ტიკარაძე („სხივი“ — მძიმე წონა, ფოთი), ილონა აბსაძე („470“, ფოთი), ალექსანდრე დოლოგლონიანი („470“, ბათუმი).

თ. შენგელია.

ტურნირის ექო

ეს უკვე აღიარებაა

თუ შეგიმჩნევიათ, მოკრივეები საკმაოდ სიტყვაძვირი ხალხია. მთავარი კი ის არის, რომ თავიანთ წარმატებებზე იშვიათად საუბრობენ. რამენაირად უნდა მიუდგე, გამოუნახო „გასაღები“ მათ ენაწყლიანობას. მგონი ეს მოვახერხე, როცა სულ ახლახან იუნიორ მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულ ჩვენს შესანიშნავ ოთხეულს — რამაზ ფალიანს, კახაბერ ბარავის, პაატა გვასალიასა და აკაკი კაკაურიძეს შევხვდით რედაქციაში.

თუმცა არც იმის თქმა შეიძლია, რომ სამუდამოდ ხელთ მაქვს ის მაგიური გასაღები და როცა მინდა გადავატრიალებ და ავალაპარაკებ მოკრივე-რესპონდენტებს, არა. ეს, ალბათ, იმ ბედნიერმა დღეებმა განაპირობა, რომელთანაც მათი პირველი დიდი გამარჯვებაა დაკავშირებული. ასეთ ტრიუმფს მარტო ერთსახოვან გამარჯვებას ვერ უწოდებს კაცი. ეს უკვე აღიარებაა ამა თუ იმ ქვეყნის კრივის სკოლისა. დიახ, საქართველო ერთადერთი ქვეყანა გახლავთ, რომლის წარმომადგენლებმაც ამდენი (ოთხი) ოქროს მედლის მოპოვება შეძლეს. სწორედ ამ აღიარებით არიან ეს ჯაბუკები ბედნიერები.

და როცა ვკითხე, ყველაზე ძლიერი განცდა რადის ჰქონდათ ასპარეზობაზე. მიპასუხეს: — როცა რინგზე გასულნი დარბაზში თვალს მოვკრავდით უნეტარეს ილია მეორის მიერ ნაკურთხ საქართველოს ეროვნულ დროშას, რომელსაც მცირერიცხოვან ქართველ ტურისტთა ჯგუფი აფრიალებდა.

სიტყვამ მოიტანა და, უნდა ითქვას, რომ ქართული კრივი ძალზე ძნელად იკვლევს გზას ევროპულ და საერთაშორისო სარბიელზე, ამიტომ შორიდან დავიწყებ. ჯერ ომის შემდგომ კონტინენტის პირველობაში მონაწილეობისათვის ქვეყნის ნაკრებში მიწვეულნი იყვნენ ტყავის ხელთათმნის ოსტატები შალვა გორგასლიძე და გაბრიელ ხანუკაშვილი, მაგრამ ჩემპიონატზე საბჭოთა მოკრივეების დებიუტი მაშინ არ შედგა. მხოლოდ 1953 წელს მოხერხდა მისი ჩატარება. ვლადიმერ ენგიბარიანმა, და ალგერდას შოციკასმა ოქროს მედლები მოიპოვეს. მაგრამ ალბათ ბევრმა, ყოველ შემთხვევაში, ახლანდელმა თაობამ, არ იცის, რომ მაშინ გუნდში პირველ ნომრად ენგიბარიანის ნაცვლად, შესანიშნავი ქუთაისელი სპორტსმენი ფრიდონ ლრმიძე ითვლებოდა. იგი გუნდთან ერთად გაემგზავრა კიდეც ვარშავაში, მაგრამ ბოლო მომენტში, რატომღაც, ერევნელ მოკრივეს მიენდო ქვეყნის ღირსების დაცვა. ამის შემდეგ ქვეყნის ნაკრებში „ქართულმა ვაკუუმმა“ დაისადგურა. ნაცვი ნაწილობრივ გატყდა — 1976 წელს, როცა ბერლინში კონტინენტის ჩემპიონობა დავით კვაჭაძემ მოიპოვა. ამის შემდეგ, თუ სხვადასხვა მასშტაბის საერთაშორისო ტურნირს არ მივიღებთ მხედველობაში, ოფიციალურ პირველობაში მხოლოდ შარშან გამოჩნდნენ საქართველოს მოკრივეები. ეს მოხდა პუერტო-რიკოს ქალაქ ბაიამონში გამართულ ჯაბუკთა მსოფლიო პირველობაზე, სადაც თბილისელი არმენ ბურდიანცი ჩემპიონი გახდა, დიმიტრი ავდალიანმა — ვერცხლის, ხოლო კახაბერ ბარავიმ ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს.

და აი, მორიგი ტრიუმფი, რაც საქართველოს მოკრივეთა ბრძოლის მეტად თავისებურმა მანერამ განაპირობა. მაყურებელი თურმე განსაკუთრებული სიმპათიით იმიტომ განეწყო ჩვენი ბიჭებისადმი, რომ მათ ყოველ შეხვედრას ტაქტიკური მონახაზი აქვს, რასაც ბოლომდე იცავენ და არასდროს გადადიან დარტყმათა უაზრო გაცვლა-გამოცვლაზე, ებრძვიან ტემპერამენტიანად და მიზანსწრაფვით, ყველაფერი ეს ხომ გამოცდილებით მოდის და ასეთ ასაკში სად შეიძლება მისი შეძენა?

ამ მხრივ დიდი სამსახური გაუწია ჩვენს ოთხეულს თბილისის ტრადიციულმა ჯაბუკთა საერთაშორისო ტურნირმა, ყოველი სეზონის მიწურულს რომ ტარდება. თურმე არ შემცდარან ჟურნალისტები შარშან დეკემბერში, როცა თბილისის ამ ტურნირს აშუქებდნენ და წერდნენ, რომ ევროპის ჩემპიონატის გზა თბილისზე გადისო. დიახ, ჩეხეთ-სლოვაკეთის ქალაქ უსტინა ნად ლაბოს რინგზე გამოსულნი ნახევარზე მეტი თბილისის საერთაშორისო ტურნირების მონაწილენი ყოფილან და ბევრი ნაცნობი მეტოქე შეხვედრია ერთმანეთს.

მაგალითად, 48 კგ წონაში გამოდიოდა დანიელი პროში, სწორედ ის პროში, რომელსაც ამ ზამთარს რამაზ ფალიანმა სძლია ფინალში. თბილისური სურათი ამჯერად არ განმეორებულა, რადგან პროშს ფინალამდე გზა გადაუკეტა ბულგარელმა მოკრივემ, რომელსაც რამაზმა დასკვნით შეხვედრაში დიდი უპირატესობით — 5:0 მოუგო. ამასთან, ბულგარელი ორჯერ ნოკდაუნში გაგზავნა. საერთოდ, მესტიელმა ჯაბუკმა, რომელმაც მირზა ფალიანისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით დაიწყო ვარჯიში, ჩემპიონატის ოთხივე შეხვედრა ასეთი „მშრალი“ ანგარიშით დაამთავრა.

აი, კახაბერ ბარავის კი უსტინას რინგზე. „ძველი ვალების“ გასტუმრება მოუხდა. კერძოდ, იგი აქ, ისევე, როგორც შარშან, მსოფლიო პირველობის ნახევარფინალში შეხვდა საფრანგეთის წარმომადგენელ მუშის. მაშინ ფრანგმა მოკრივემ იმარჯვა, სძლია თბილისელ მეტოქეს, შემდეგ კი ფინალშიც გაიმარჯვა და მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ამჯერად კახაბერმა ნახევარფინალურ ეტაპზე ანგარიშით 4:1 რევანში აიღო, ფინალში კი უკვე აღარ გასჭირვებია გამარჯვება პოლონელ მეტოქესთან და პირველი ბრძოლის მსგავსი შედეგი აჩვენა — 5:0.

ვისაც თბილისის საერთაშორისო ტურნირის ორგზის გამარჯვებულის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ აკაკი კაკაურიძის გამოსვლა უნახავს, ადვილად წარმოიდგენს მის უძლიერეს აპერკოტებს (დარტყმა ქვემოდან), რომლებსაც ზშირად წარმატება მოაქვს მისთვის. სწორედ ამ დარტყმის წყალობით გასტეხა მან ნახევარფინალში რუმინელ ოპრეას წინააღმდეგობა. სხვათა შორის, ეს იყო ერთადერთი მეტ-ნაკლებად თანაბარი ბრძოლა, სადაც ქართველ მოკრივეს მინიმალური უპირატესობით — 3:2 მიენიჭა გამარჯვება. ამის საპასუხოდ ფინალში ტრადიციული 5:0 ძალაში დარჩა და ქართველთა რიგებს კიდევ ერთი ჩემპიონი შეემატა.

მიუხედავად იმისა, რომ ნაკრების მწვრთნელი ნიკოლაი ხრომოვი პაატა გვასალიას, ისევე როგორც მის მეგობარ მოკრივეებს, უკიჟინებდა — „იჩხუბეთ, ნუ ფანტაზიორობთო“, ჩვენმა ბიჭებმა, ბოლომდე უერთგულეს თავიანთ მრწამსს. პაატაც ასე მოიქცა — აღმზრდელის სოზარ კულუას კარნახით ააგო ტაქტიკური ბრძოლა კონტრიერიშებზე და ამ გზით მოიგო ოთხივე ბრძოლა — 4:1, 5:0, 5:0, 5:0. მათ შორის, ფიზიკური მონაცემებით მასზე გაცილებით ძლიერ მეტოქეებთან.

რაც შეეხება მეხუთე ქართველ მოკრივეს ქუთაისელ მათე კოღუაშვილს, ბევრს არ უდგებს ტოლს ოსტატობაში, მაგრამ მისთვის „კერკეტი კაკალი“ აღმოჩნდა ბულგარელი პეტროვი, რომელსაც ამ ზამთარს თბილისში დაუთმო გამარჯვება. ბუნებრივია, რომ მათე რევანშისათვის ემზადებოდა. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ სადებიუტო ბრძოლა დიდი უპირატესობით მოუგო ძლიერ ესპანელ მეტოქეს. ქართველ მოკრივეს მომდევნო შეხვედრამ პეტროვთან უწია. კოღუაშვილი აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა, მაგრამ მეტოქე არ აჰყვა მას ნამდვილ ბრძოლაში და, როგორც ამბობენ, „ჭუჭყიანი ჩხუბი“ აირჩია. ასე „ავიწროვებდა“ იგი სამივე რაუნდში კოღუაშვილს და გამარჯვებულად მაინც პეტროვი სცნეს.

ქართველ ჯაბუკთა მაღალი ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება, რაზეც ზემოთ ითქვა, უყურადღებოდ არ დარჩენია მაყურებელს. დიახ, ყველაზე მეტი პოპულარობა ჩემპიონატის დღეებში სწორედ ჩვენს ოთხეულს ხვდა და იგი კრივის მოყვარულთა მუდმივი „კონტროლის“ ქვეშ იყო. მათ ართმევდნენ ავტოგრაფებს და გულთბილად ხვდებოდნენ ყველგან. იქნებ ამის მიზეზი ისიც არის, რომ, როგორც ჩანს, ევროპულ რინგზე „ქართულმა სიომ“ დაჰბერა. მოდით, ნურც ეს გაგვიკვირდება. და კიდევ, ეს წარმატება რომ შემთხვევითი არ არის, ამის დასტური ისიცაა, რომ ჩვენი ოთხივე მოკრივე მიწვეულია იტალიაში, სადაც რამდენიმე საერთაშორისო მატჩში მოუწევთ გამოსვლა სხვადასხვა ქალაქში. შემდეგ კი თანატოლთა მსოფლიო პირველობა ელით პერუს დედაქალაქ ლიმაში. ახლა კი ფალიანსა და გვასალიას დაძაბული სალამოცდო დღეები აქვთ, — ორივე აბიტურიენტია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე აბარებს მისაღებ გამოცდებს. სხვათა შორის, არც თუ ცუდად. მათემატიკაში (წერა) ოთხიანები მიიღეს, პაატამ კი ზეპირში ხუთიანი დაიმსახურა.

...ვფიქრობ, ამ შესანიშნავ ჯაბუკ-მოკრივეებზე კიდევ მრავალგზის მოგვიწევს საუბარი, ისინი ხომ ესესაა გადიან დიდ სარბიელზე.

უშანგ ჯიჯინაძე

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ევროპის ჩემპიონთა ოთხეული — რამაზ ფალიანი, პაატა გვასალია, კახაბერ ბარავი, აკაკი კაკაურიძე სტუმრად „ლელოს“ რედაქციაში.

გენადი სანაიას ფოტო.

შავ ზღვაზე, ქობულეთში...

„ტალღა“ — ასეთი ლამაზი სახელი აქვს ბავშვთა და მოზარდთა ბანაკს ქობულეთში, ზედ ზღვისპირას რომ მდებარეობს. იგი სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ საბჭოს ეკუთვნის, 320 ბავშვი ისვენებს და იკაჟებს სხეულს აქ.

დასასვენებელ სახლს კარგად მოწყობილი და მოვლილი სპორტული მოედნები აქვს, რეგულარულად იმართება შეჯიბრებები ფეხბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, ცურვაში, ჭადრაკში, შაშში; ეწყობა ტურისტული ლაშქრობები.

საინტერესოდ ჩატარდა ბანაკის (დირექტორი მიხეილ მიქელაძე, ფიზიკურ აღზრდის უფროსი მასწავლებელი ჯემალ დიასამიძე) ბოლო სპარტაკიადა. განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა ფინალური შეხვედრა ფეხბურთში მე-2 და მე-3 ჯგუფებს შორის. ძირითადი დრო ფრედ — 0:0 — დამთავრდა. პენალტების სერიით გაიმარჯვეს (4:3) მესამეჯგუფელებმა.

ცურვაში ბანაკის ჩემპიონი გახდა მე-9 ჯგუფის გუნდი, რომელიც გორელი მოსწავლეებით იყო დაკომპლექტებული.

მძლეოსნობაში (რბენა 60 მეტრზე) ბანაკის ჩემპიონები გახდნენ თემურ ჯოჯუა და გია მიქელაძე, ჭადრაკში — ნოდარ ბერიძე, შაშში— კახი ჭახნაგია.

ფრენბურთში გაიმარჯვა მე-6 ჯგუფის გუნდმა, კალათბურთში — მე-3 ჯგუფისამ (ორივე გუნდი ჯ. დიასამიძემ მოამზადა).

ტრადიციულად, „ტალღაში“ დამსვენებლები სპორტის სხვადასხვა სახეობაში ეჯიბრებიან ახლო მდებარე ბანაკებს. „შევარდენს“, „თოლიას“. „სხპარულს“. მათი ხშირი სტუმრები არიან ქობულეთის „შუქურას“ ფეხბურთელები, რომლებიც არც თუ იშვიათად ვარჯიშობენ აქ და ნორჩ ფეხბურთელებსაც ეხმარებიან დაოსტატებაში.

ილია ჯაჯანიშვილი,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ამხანაგურიც, დაძაბულიც

„იბერია“ (თბილისი) — „რიზესპორი“ (რიზე) — 3:0 (1:0).

თბილისი. ეროვნული სტადიონი. 28 ივლისი.

„იბერია“: ხაპოვი (დევაძე), ნეტიაძე (ჯამარიული), ცხადაძე, ჭედია, ჯიშკარიანი, რევიშვილი (შონია), ქეცბაია, ჩიქოვანი, კაჭარავა (ყაველაშვილი), გურული, გოგიჩაიშვილი.

„რიზესპორი“: მოჰამედ ქოსიოღლუ. ნური შამლი, შუკრი შამდი (ოსმანჯეინარი), ჰასან ალითეკი, ჯელალ თენიზი, ერგუნ ქოლჩაქი, ეკრემ ალიბ ქალიოღლუ, ქელალეთინ შენთურქი (მუსტაფა ქალაფაქი), თუნჯავ ქოსეოღლუ, იბრაჰიმ შოლა (ლევენტ ბეაზი), მეთიქ ბაქი.

მსაჯები: ე. ხილაგავა, თ. კურტანიძე, ა. შილაკაძე (სამივე — თბილისი).

გაფრთხილეს ქელალეთინ შენთურქი („რიზესპორი“) და ცხადაძე („იბერია“). გაძევეს თუნჯავ ქოსეოღლუ და მუსტაფა ქალაფაქი.

საფეხბურთო კლუბ „მგლებთან“ გამარჯვებამ, ეტყობა, თურქი ფეხბურთელები ოპტიმისტურად განაწყო „იბერიასთან“ შეხვედრის წინ და მატჩი სტუმრებმა საკმაოდ თავდაჯერებით დაიწყეს, მაგრამ მალე თბილისელმა ფეხბურთელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში „რიზესპორმა“ მხოლოდ ორჯერ შეძლო „იბერიის“ კარის მიმართულებით ბურთის გაგზავნა: თუნჯავ ქოსეოღლუსა და მეთიქ ბაქის მიერ დარტყმული ბურთები მცირე მანძილით ასცდა კარს. სამაგიეროდ, თბილისელები აქტიურობდნენ — ქეცბაიამ, გურულმა, კაჭარავამ და გოგიჩაიშვილმა რამდენიმე საგოლე მომენტი გაუშვეს ხელიდან, თუმცა 30-ე წუთზე უხადოდ შესრულებული საჯარიმო დარტყმით გურულმა გახსნა ანგარიში — 1:0.

არც შეხვედრის მეორე ნახევარში დათმეს უპირატესობა იბერიელებმა და 51-ე წუთზე ცხადაძის სახიფათო გარღვევა გოგიჩაიშვილმა გოლით დაასრულა — 2:0.

მალე შონიას, ჯიშკარიანს და ქეცბაიას (რომელიც ამ დღეს ერთ-ერთი საუკეთესო იყო მინდორზე) მიეცათ ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, მაგრამ კარგად ითამაშა რიზელთა მეკარე მოჰამედ ქოსიოღლუმ. ტაიმის მიწურულს სტუმართა მცველებმა საჯარიმო მოედანზე მოცელეს გოგიჩაიშვილი. თერთმეტმეტრიანის დარტყმა გურულმა ითავა: მოკლე გამორბენი და ბურთი... სტუმართა მცველს მიუგორა. 88-ე წუთზე მარჯვენა ფრთიდან ქეცბაიას მიერ ძლიერად ჩაწოდებული ბურთი შემთხვევით მოხვდა ფეხზე გურულს და მეტოქის კარში შეგორდა. მხოლოდ ამის შემდეგ „გამოიღეს ხელი“ სტუმრებმა, მაგრამ ერგუნ ქოლჩაქის, ლევენტ ბეაზისა და სხვათა მცდელობას, გაეტანათ ბურთი მაინც, შედეგი არ მოჰყოლია. „იბერიამ“ სრულიად დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა — 3:0.

სხვა ამხანაგური მატჩებისაგან განსხვავებით, ეს შეხვედრა მეტად დაძაბულად წარიმართა. მსაჯებს ორჯერ მოუწიათ წითელი ბარათის ხმარება, ამდენჯერვე კი — ყვითელი ბარათისა. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არბიტრებმა კარგად გაართვეს თავი სამსაჯოდ მეტად რთულ შეხვედრას.

თურქი ფეხბურთელები კიდევ სამ მატჩს გამართავენ საქართველოში — თელავში, ლანჩხუთსა და ბათუმში.

ლევან ჯავახიშვილი.

სურათზე: მომენტი ხანგლილი მატჩიდან „იბერია“ — „რიზესპორი“.

ა. კოკლამაზაშვილის ფოტო.

ცნობარი-კალენდარი.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

სოხუმი

«ცხუმი»

1990

„ცხუმის“ საკუთარი ჯა... „ინიციატივა“

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში შესვენებაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გათამაშების მონაწილე გუნდები გულხელდაკრეფილნი ელოდებიან გათამაშების მეორე წრის დაწყებას. გუნდები ინტენსიურად ემზადებიან. ამის მაგალითად სოხუმის „ცხუმის“ ამხანაგური საკონტროლო შეხვედრებიც გამოდგება. „ცხუმმა“ ეშერის სპორტულ ბაზაზე უმასპინძლა წყალტუბოს „სამგურალს“. მეტოქენი ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. პირველი მატჩი სოხუმელთა გამარჯვებით დამთავრდა — 5:2. მეორე შეხვედრაში აღინიშნა ფრე — 2:2.

გაგრის ცენტრალურ სტადიონზე კი სოხუმის „ცხუმი“ შეხვდა ადგილობრივ გუნდს „სიხარული-90“-ს, რომელიც, როგორც ცნობილია, პირველი ჯგუფის ბინადარია. ეს მატჩიც ფრედ დამთავრდა — 2:2. აღსანიშნავია, რომ „ცხუმის“ თავდამსხმელმა გოჩა გოგრიჭიანმა ამ მატჩებში 7 გოლი გაიტანა.

და ერთიც სოხუმთან დაკავშირებით: ადგილობრივმა სარეკლამო-საინფორმაციო კოოპერატივმა „ინიციატივამ“ საფეხბურთო კლუბ „ცხუმის“ დაკვეთით გამოსცა ცნობარი-კალენდარი ქართულ ენაზე, მასში მოცემულია მოკლე ბიოგრაფიული ცნობები „ცხუმის“ მწვრთნელებისა და ფეხბურთელების შესახებ, აქვეა მათი ფოტოსურათები. (რედაქტორი ჯემალ ღვაჩლიანი). ცნობარში დასტამბულია ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის კალენდარი.

ახლო მომავალში კოოპერატივი „ინიციატივა“ აპირებს გამოსცეს ანალოგიური ცნობარ-კალენდრები გალის „მზიურისა“ და ოჩამჩირის „მჩირანის“ ფეხბურთელთა გუნდების შესახებ.

თენგიზ ჯავკორია,
„ლელოს“ ხაკ. კორ.

● **იტალიის** სტადიონებზე მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში სულ გატანილი იქნა 115 ბურთი, რაც ყოველ თამაშში საშუალოდ 2,21 გოლს შეადგენს. ეს მაჩვენებელი, როგორც ვიუწყებოდით, ყველაზე დაბალია მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიაში.

სულ კი მსოფლიო ჩემპიონატებში (1930-1990 წლები) 464 მატჩში გატანილი იქნა 1443 ბურთი, რაც თითო მატჩში 3,06 გოლს უდრის.

საინტერესოა, რომ ყველა, თოთხმეტივე მსოფლიო ჩემპიონატში ანგარიში 1:0 აღინიშნა 78-ჯერ, შემდეგ მოდის ანგარიში 2:1, მერე 2:0 და ა. შ.

● **განვლილი** მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანი გუნდი იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები, რომელმაც 15 ბურთი გაიტანა. იტალიელებმა და ჩეხოსლოვაკიელებმა გაიტანეს 10-10 ბურთი. ყველაზე ნაკლები ბურთი გაიტანეს ეგვიპტისა და საამბრეთ კორეის გუნდებმა —თითო.

● **ყველაზე** ნაკლები ბურთი გაუშვეს იტალიის, ბრაზილიისა და ეგვიპტის გუნდებმა, მაგრამ მათ შეხვედრათა განსხვავებული რაოდენობაც ჩაატარეს (შესაბამისად 7, 4, და 3). ყველაზე მეტი ბურთი გაუშვა არაბეთის გაერთიანებული საემიროების ნაკრებმა — 11.

● **ყველაზე** მეტი გამარჯვება შე-14 მსოფლიო ჩემპიონატზე მოიპოვეს იტალიელმა ფეხბურთელებმა — 6.

● **არც ერთი** დამარცხება არ განუცდიათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იტალიის გუნდებს (მხედველობაში გვაქვს შეხვედრათა ძირითადი დრო).

● **სულ** მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე მეტი ბურთი გატანილი აქვს დასავლეთგერმანელ ფეხბურთელს გ. მიულერს — 14. შემდეგ მოდიან ფრანგი ჟ. ფონტენი—13, ბრაზილიელი პელე — 12, უნგრელი შ. კოჩიში და ინგლისელი ჰ. ლინეკერი—11-11.

● **განვლილ** ჩემპიონატში „ჰეთ-თრიკი“ შეასრულეს ჩეხოსლოვაკიელმა ტ. სკუხრავიმ და ესპანელმა მ. მიჩელმა.

მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში სულ აღნიშნულია 32 „ჰეთ-თრიკი“.

● **იტალიის** ნაკრების მეკარემ ვალტერ ძენგამ მსოფლიო ჩემპიონატების თავისებური რეკორდი დაამყარა; 517 წუთის განმავლობაში არც ერთი ბურთი არ გაუშვია. მანამდე ეს რეკორდი ეკუთვნოდა ინგლისელ გორდონ ბენქსს (441 წუთი), რეკორდმა 24 წელი იარსება.

● **ინგლისის** ნაკრების მეკარეს პიტერ შილტონს განვლილი მსოფლიო ჩემპიონატის 3 მატჩში არც ერთი ბურთი არ გაუშვია. ასეთი მატჩების რაოდენობა მსოფლიო ჩემპიონატებზე პ. შილტონმა სულ 10-მდე აიყვანა. ეს საუკეთესო შედეგია მეკარეთათვის.

● **XIV მსოფლიო** ჩემპიონატის მატჩებს მოემსახურა 29 მსაჯი. არბიტრად ყველაზე ხშირად გამოდიოდა ბრაზილიელი ჟ. რაიტი, რომელმაც 4 მატჩი ჩაატარა.

● **განვლილ** მსოფლიო ჩემპიონატში დაინიშნა 18 პენალტი, მათგან ხუთი არ იქნა გამოყენებული. ყველაზე მეტჯერ 11-მეტრიანები დაინიშნა ჩეხეთ-სლოვაკეთის ნაკრების სასარგებლოდ (3), 2-2-ჯერ პენალტები დაარტყეს იტალიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ინგლისის ფეხბურთელებმა.

● **1990** წლის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ სამხრეთ ამერიკისა და ევროპის გუნდების მაჩვენებლები ჩემპიონობისთვის ბრძოლაში გათანაბრდა — 7:7.

● **განვლილ** მსოფლიო ჩემპიონატში ევროპელებმა ოთხჯერ დამარცხეს სამხრეთ ამერიკის გუნდი, სამჯერ თვითონ დამარცხდნენ და 5 შეხვედრა ფრედ დაამთავრეს. ევროპელებმა ასევე გაიმარჯვეს აფრიკის გუნდებთან შეხვედრაში — 3:1 (2 ფრე), აზიისა — 4:0 და ცენტრალური ამერიკის წარმომადგენლებთან — 4:2.

● **ოთხი** ფეხბურთელი — დ. მარადონა (არგენტინა), ჰ. ლიტბარსკი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), პ. შილტონი (ინგლისი) და ი. კულემანსი (ბელგია) შევიდა იმ ფეხბურთელთა სიაში, რომლებსაც ყველაზე მეტი მატჩი აქვთ ნათამაშევი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალებში. მარადონამ ჩაატარა 19 მატჩი, ლიტბარსკიმ — 18, შილტონმა — 17 და კულემანსმა — 16. საერთოდ კი, მსოფლიო ჩეპიონატებზე ყველაზე მეტი შეხვედრა ჩატარებული აქვთ დასავლეთგერმანელ ფეხბურთელს უ. ხელერს და პოლონელ ვ. ემუდას 21-21.

მსოფლიო ჩემპიონატის ექო

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **შვეიცარიის** „ციურიხი“ 70-იან წლებში ქვეყნის უძლიერესი კლუბი იყო. წარუმატებლობათა სერიამ იგი მეორეხარისხოვან გუნდად აქცია. კლუბის დირექტორატი იმედოვნებს, რომ ახალ ჩემპიონატში „ციურიხი“ დაიბრუნებს ძველ დიდებას. დასავლეთგერმანელმა მწვრთნელმა ჰერბერტ ნოიზანმა უკვე მიიწვია რამდენიმე ახალი მოთამაშე, მათ შორის, შვეიცის ნაკრების მცველი როჯერ ლუნგი („იანგ ბოისი“), კოლუმბიელი ჯონ ტრელესი („ნასიონალი“) და ორი სამხრეთაფრიკელი — აუგუსტ მაკალაკალანე და ტომას მადიგაგე.

● **შვეიცარიის** ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი ისლანდიელი სიგურდურ გრეტარსონი „ლუცერნიდან“ „გრასჰოპერსში“ გადავიდა. სამაგიეროდ გუნდს მოუხდა უძლიერესი მცველის — ანდრე ეგლის გაყიდვა „ქსამაქსში“. „ვინტერთურში“ ითამაშებენ რინატ ატაულინი და ნიკოლაი პისარევი.

● **გრძელდება** აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ფეხბურთელთა ექსპორტი ავსტრიაში. ნარბეკოვასი და ივანაუსკასი ვენის „აუსტრიამ“ შეიწვია, გდრ-ის ნაკრების წევრი ანდრეას მარშალი — „ადმირა ვაკერმა“, ხოლო უნგრელი ტამაშ პეტრაში („ვიდეოტონი“) — „სენტ პოლტენმა“.

● **ჰოლანდიის** „ფეიენორდის“ შვედმა მწვრთნელმა გუნდერ ბეგთსონმა ორი ახალი მოთამაშე მოიწვია. რუმინეთის ნაკრების ნახევარმცველი იონ საბეუ და როტერდამის „სპარტის“ ფორვარდი ედ დე გოი.

● **„ასკოლიმ“** გასული ჩემპიონატის შედეგებით დატოვა იტალიის პირველი ლიგა. ამან გამოიწვია წამყვან ფეხბურთელთა გაყიდვა, ცნობილი თავდამსხმელი კასაგრანდე (ბრაზილია) აღარ განაახლებს კონტრაქტს, ახლა იგი მოლაპარაკებას აწარმოებს „ბარისთან“. იუგოსლავიელი არსლანოვიჩი საფრანგეთის „ნიცაში“ გადავიდა. სამაგიეროდ გუნდში დაბრუნდა ფორვარდი ჯორდანო, რომელიც შარშან „ბოლონიაში“ თამაშობდა.

ევროპის ჩემპიონატზე

29 ივლისს უნგრეთის ქალაქ ბეკეშჩაბაში შედგა ჰაბუკ ფეხბურთელთა (ასაკი 18 წლამდე) ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩი სსრ კავშირისა და პორტუგალიის გუნდებს შორის.

თამაშის ძირითად და დამატებით დროს შედეგი არ მოუცია, — 0:0, დამატებითი 11-მეტრიანებით გაიმარჯვა საბჭოთა გუნდმა — 4:2, რომელმაც ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა.

მესამე ადგილისთვის იბრძოდნენ ესპანეთისა და ინგლისის გუნდები, გაიმარჯვეს ესპანელებმა — 1:0.

უცხოეთისკენ...

კვლავ და კვლავ მოდის ცნობების იმის თაობაზე, რომ ფეხბურთის ცნობილი საბჭოთა ოსტატები ტოვებენ სამშობლოს და უცხოეთის პროფესიულ კლუბებში მიეშურებიან.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ ამას წინათ კონტრაქტით უცხოეთში გამგზავრებაზე უარი უთხრა კიეველ ფეხბურთელებს ა. მიხაილიჩენკოს და ო. პროტასოვს, აგრეთვე, მოსკოვის სპარტაკელს ვ. შმაროვს, რომლებსაც ჯერ არ შესრულებიათ 28 წელი, საფრანგეთიდან კი შინ, მოსკოვის „სპარტაკში“ დაბრუნდა ვაგიზ ხიდიატულინი.

მოსკოვის „სპარტაკიდან“ უცხოეთს უკვე გაემგზავრნენ ფ. ჩერენკოვი და ს. როდიონოვი, აგრეთვე, მცველი ალექსანდრე ბოკია და მეკარე ალექსეი პრუდნიკოვი. ა. ბოკია ითამაშებს ჩეხეთ-სლოვაკეთის ქალაქ ოლომოუცის „სიგმაში“, ხოლო ა. პრუდნიკოვი — იუგოსლავიის ქ. მოსტარის „ველეჟში“. „სიგმა“ ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატში მერვე ადგილზეა, ხოლო „ველეჟი“ — მეთექვსმეტეზე. მოლაპარაკება წარმოებს მოსკოვის „სპარტაკის“ სხვა ფეხბურთელებთანაც.

უცხოეთის ქვეყნებში მიემგზავრებიან ლიტველი ფეხბურთელები. უმეტესობამ ფინეთი არჩია. ისინი შრომითი ხელშეკრულებით იმუშავებენ სპეციალობის მიხედვით და ამავე დროს ითამაშებენ იქაურ კლუბებში. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ უახლოეს ხანებში უნდა იმსჯელოს ამ ფეხბურთელების უცხოეთის კლუბებში გადასვლის თაობაზე.

სსრ კავშირის პირველობაზე

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-17 ტურის შეხვედრა ვოლგოგრადის „როტორსა“ და ერევნის „არარატს“ შორის დამთავრდა ფრედ — 0:0.

გუშინ გაიმართა ტურის მორიგი შეხვედრები.

მარცხი ფინალში

ნობლისტონი. ამერიკის შეერთებული შტატების ამ ქალაქში დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო გუნდური ტურნირი — ფედერაციის თასის გათამაშება.

საბჭოთა ნაკრებმა ნახევარფინალში დაამარცხა ესპანეთის გუნდი 2:1. ლეილა მესხს ბოლო მატჩებში საკმაოდ ძლიერ შეტოქეებთან უხდება ბრძოლა. ასე იყო ამჯერადაც. თბილისელი სპორტსმენი დამარცხდა კონჩიტა მარტინესთან — 3:6, 5:7. ნატალია ზვერევამ აჯობა არანტა სანჩეს ვიკარიოს, ხოლო ლარისა სავჩენკოსთან ერთად მოუგო მარტინეს — პოლარ პერესის წყვილს — 6:2, 6:3. მეორე ნახევარფინალში ამერიკელმა ჩოგბურთელებმა ავსტრალიელები დაამარცხეს — 3:0.

ფინალური ბრძოლა საბჭოთა და ამერიკელ სპორტსმენთა შორის ასევე დაძაბულობით აღინიშნა. მესხი დამარცხდა თანამედროვე ჩოგბურთის ახალ „ვარსკვლავთან“, 14 წლის ჯენიფერ კაპრიატისთან — 6:7, 2:6. ნატალია ზვერევამ მოუგო ზინა ჰარისონს — 4:6, 6:3, 6:3. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა წყვილთა შეჯიბრებამ. ჰარისონმა და ჯიჯი ფერნანდესმა დაამარცხეს ზვერევა-სავჩენკოს დუეტი (6:4, 6:3) და საპატიო ჯილდოს — ფედერაციის თასს დაეუფლნენ.

შეგახსენებთ, რომ ეს შეჯიბრება 1963 წლიდან ტარდება, ამერიკელებმა კი გამარჯვება ზედიზედ მეორედ მოიპოვეს.

კეთილი ნების თამაშები

დავითი და გოლიათი...

(დასასრული)

ამერიკის არც ერთ ქალაქში არ სარგებლობს ველოტურიზმი ისეთი პოპულარობით, როგორც სიეტლში. მაღაზიის ვიტრინებში ყველა ფორმისა და ზომის ველოსიპედს შეხვდებით. ზოგს საკმაოდ მაღალი ფასი ადევს, ზოგი კი ისე იაფი ღირს, რომ ნებისმიერ მოყვარულს შეუძლია ყიდვა.

თვით ველოსპორტი სიეტლელთათვის უცხო ხილია, ამიტომ თამაშების პროგრამით მიმდინარე შეჯიბრებას ბევრი ცნობისმოყვარე დაესწრო. ისინი შინ კმაყოფილნი ბრუნდებოდნენ ორი მიზეზით: ჯერ ერთი, გაიგეს ამ სპორტის არსი და თანაც, ამერიკელ ველოსიპედისტთა გამარჯვებებით დიდად გაიხარეს. არა და ამ დღეს ველოტრეკზე მხოლოდ ამერიკელთა სახელმწიფო ჰიმნის ხმები ისმოდა.

შეჯიბრების შედეგები ყველაზე სწორად შეაჯამა ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის აღმასკომის წევრმა, ამერიკელმა ფილ ვაკანსმა:

— ბოლო დროს ჩვენში საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი ველოსპორტისადმი. მაგრამ ეს ინტერესი ჯერჯერობით მაინც დილეტანტურ დონეზეა. აქამდე ველოსიპედი ამერიკელებს მხოლოდ ჯანმრთელობის გაკაჟების საშუალებად მიაჩნდათ. ამიტომ საოცრად გაკვირვებულნი დარჩნენ, როდესაც ტრეკზე ამაღელვებელი ბრძოლა იხილეს. თამაშები დიდად შეუწყობს ხელს ველოსპორტის შემდგომ განვითარებას.

„აპტოგრაფები“ ტაბლოზე

27 ივლისი.
მხატვრული ტანვარჯიში. მრავალჭიდი. 1. ო. სკალდინა (სსრკ) — 39,55.
ჰოკეი. კანადა — ფინეთი 6:5.
კალათბურთი. 1-4 ადგილებისთვის: იუგოსლავია — სსრ კავშირი 84:78; აშშ — ბრაზილია 112:95. 5-8 ადგილებისთვის: პუერტო-რიკო—ესპანეთი 75:74; ავსტრალია—იტალია 106:78.

29 ივლისი.
ველოსპორტი. ვაჟები ინდივიდუალური რბოლა გამოდევნებით 4 კმ. 1. სტივ ჰეგი (აშშ) — 4.40.22. სპრინტი, ნახევარფინალები: კერტის გარნეტი (კანადა) — ანდრეი ბელოსტეცკი (სსრკ) — 2:0; გერი ნეივანდი (ავსტრალია) — კენ კარპენტერი (აშშ) — 2:1. ფინალი: გარნეტი — ნეივანდი 2:0. ჯგუფური რბოლა. 1. ჯიმ პოლაკი (აშშ) — 37 ქულა.

ქალები. ინდივიდუალური რბოლა გამოდევნებით 3 კმ. 1. ჯანი ეიკჰოფი (აშშ) — 3.54,69. სპრინტი, ნახევარფინალები: კონი პარასკევინ-იანგი (აშშ) — რენე დაპრელი (აშშ) — 2:0, ერიკა სალუმაიე (სსრკ) — ლარისა ბურავცოვა (სსრკ) — 2:0. ფინალი: პარასკევინ-იანგი-სალუმაიე — 2:0.

სპორტული ზეიმები სტადიონსა ჩაებში — ახალთა ახლა სიეტლი. ამ ლაქის ცენტრალური პარკია, სადაც დარბაზი „არენა“ და „კოლიზეუმი“. ილს ვერავის ნახავთ!

სპორტული ტანვარჯიში. ქალები. მრავალჭიდი. 1. ლ. ლეონტიევა (სსრკ) — 39,65. სახეობები: ჰირადა პიტგელობა ბჯენიანი ტატომები. 1. ოქსანა ჩუსოვიტინა (სსრკ) — 9,962. ოთხმელი. ჩეკან ფიფ (ჩინეთი) — 9.962. დვეთი. 1. ნატალია კალინინა (სსრკ) — 9,962. თავისუფალი ვარჯიშები. 1-2 სვეტლანა ბოგინსკაია, ნატალია კალინინა (ორივე — სსრკ) — 9,962.

კალათბურთი. ვაჟები. VII ადგილისათვის: იტალია — ესპანეთი 105:96; V ადგილისთვის: ავსტრალია — პუერტო-რიკო 116:92; III ადგილისთვის: სსრ კავშირი — ბრაზილია 109:103; ფინალი: იუგოსლავია — აშშ 85:79. საბოლოო შედეგი: 1. იუგოსლავია, 2. აშშ, 3. სსრკ.

ფუალბურთი: VII ადგილისთვის: აშშ—კუბა 11:5; V ადგილისთვის: ავსტრალია — იტალია 8:8; III ადგილისთვის: უნგრეთი — ესპანეთი 10:7. ფინალი: იუგოსლავია — სსრკ 10:8. საბოლოო შედეგი 1. იუგოსლავია, 2. სსრკ, 3. უნგრეთი.

ჰოკეი. ფინეთი — ჩსფრ 4:2; კანადა — შვეიცარია 4:3.

პეტბურთი. პუერტო-რიკო — ტაივანი 11:5; იაპონია — სსრკ 14:0; აშშ — მექსიკა 15:2.

„სპორტპროგნოზი“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის 29-ე ტირაჟი.

ტირაჟში დაშვებულია 1.693.377 ვარიანტი. 13 შედეგი არავის გამოუცვნია. 12 შედეგის გამოცნობისთვის (5) მოგება 10000 მანეთია, 11 შედეგის გამოცნობისთვის (62) — 3.290 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 7206 ვარიანტი. 13—0, 12—0, 11—6.

29-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 11 აგვისტოდან 11 სექტემბრის ჩათვლით.

„სპორტლოტო“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 29-ე ტირაჟებისა და „გულმოწყალების“ სპეციტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.281.705 ვარიანტი. 6 ნომრის გამოცნობისთვის (2) მოგება 9.613 მანეთია, ხუთისთვის (56) — 686, ოთხისთვის (2.642) — 21, სამისთვის (39.220) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 31399 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—53, 3-920.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 13.373.815 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (36) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (6.105) — 124, სამისთვის (176.957) — 5.

საქართველოში: დაშვებულია 354918 ვარიანტი. 5—2 (თბილისი), 4—191, 3 — 3896.

„გულმოწყალება“ („5 36“-დან): ტირაჟში დაშვებულია 3.190.604 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (8) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (2.567) — 97, სამისთვის (57.978) —6.

საქართველოში: დაშვებულია 63652 ვარიანტი. 5—0, 4—49, 3—1046.

29-ე, 20-29 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთებისა და „გულმოწყალების“ სპეციტირაჟის ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 11 აგვისტოდან 11 სექტემბრის ჩათვლით.

• • •

გაიმართა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 30-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 7 (კლასიკური ჭიდაობა), 8 (ველოსპორტი, ტრეკი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 29 (სასტენდო სროლა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 40 (რიკაობა).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 4 (კრივი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 19 (სათხილამურო რბოლები), 28 (ტყვიის სროლა), 31 (ფარიკაობა).

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 2 აგვისტოს.

გრანდები პოზიციებს თმობენ

კარგა ხანია, რაც დამთავრდა კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა) ჩემპიონატი, მაგრამ მის შედეგებზე მსჯელობა კვლავ გრძელდება.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ნბა-ს გრანდებმა „ბოსტონ სელტიქსმა“ და „ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა“ მკვეთრად დათმეს პოზიციები, რაც წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი შტრიხი იყო. ისინი სერიოზულად შეავიწროვეს შედარებით ნაკლებ ტიტულოვანმა კლუბებმა: „დეტროიტ პისტონსმა“, „ჩიკაგო ბულსმა“, „ნიუ-იორკ ნიკერბოკერსმა“, „ფენიქს სანზმა“, „პორტლენდ თრეიელ ბლეიზმა“, „სან-ანტონიო სპურსმა“. თუ შარშან „ბოსტონ სელტიქსის“ წარუმატებლობის მიზეზი ყველასათვის ნათელი იყო, გუნდის ლიდერის ლარი ბიორდის ტრავმამ განაპირობა, წლეულს ეს არგუმენტი დღის წესრიგიდან მოიხსნა. ლიდერის ჩინებულმა თამაშმა „ბოსტონ სელტიქსს“ ამჯერად ვერ უშველა და მან „პლეიოფის“ სერიის პირველსავე მატჩში „ნიუ-იორკ ნიქსთან“ მარცხი იწვნია. რაშია საქმე? რა მოუვიდა „ბოსტონ სელტიქს“? პოზიციურ შეტევაში იგი ჩინებულად გამოიყურება; რაც გუნდის ვეტერანების — ლარი ბიორდის, კევინ მაკჰეილის, რობერტ პარიშის, დენის ჯონსონის მაღალი ინდივიდუალური ოსტატობის შედეგია. რაც შეეხება სწრაფ შეტევას, აქ „სელტიქსის“ რეგრესი შესამჩნევია. პირველი სწრაფი შეტევა, რომელიც წლების მანძილზე წარმოადგენდა ბოსტონის წარმატებათა მთავარ საწინდარს, იშვიათი სანახავი ხდება, რაც გუნდის უძლიერესი მოთამაშეების ხანდაზმულობით აიხსნება. (ჯონსონი — 37 წლის, პარიში — 36, ბიორდი —34, მაკჰეილი — 32) გუნდის წარუმატებლობის მიზეზი სწორედ აქ უნდა ვეძიოთ: „ბოსტონ სელტიქსი“ აშკარად საჭიროებს „სისხლის გადასხმას“ — გაახალგაზრდავებას.

„ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ წარუმატებლობის ერთი ძირითადი მიზეზი არავისთვის სადავო არაა. საქმე ეხება დიდი კალათბურთიდან ქერიმ აბდულ ჯაბარის წასვლას. „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ ფაქტობრივად უცენტროდ დარჩა და ამან, ცხადია, სერიოზული გავლენა მოახდინა გუნდის თამაშზე. დასავლეთის კონფედერაციაში დაკარგა ლიდერობა და წინ გაუშვა „პორტლენდ თრეილ ბლეიზი“ და „ფენიქს სანზი“.

„დეტროიტ პისტონსის“ წარმატება სავსებით კანონზომიერია. იგი ზედიზედ მეორედ გახდა ნბა-ს ჩემპიონი. დეტროიტის წარმატება, პირველ ყოვლისა დაკავშირებულია თამაშის ჩინებულ ორგანიზაციასთან. განსაკუთრებით ძლიერია დეტროიტი დაცვაში. მეორე სერიოზული ფაქტი, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი დეტროიტელთა წარმატებას, სნაიპერების შესანიშნავი სროლებია.. გუნდის ხელწერას განსაზღვრავენ, უკანა ხაზის კალათბურთელები: აიზია თომასი, ჯო დუმარსი, ვინი ჯონსონი, დენის რუდმანი, მარკ ეკვაიერი. ჩემპიონი განსაკუთრებით ძლიერად ატარებს მატჩის დასასრულს, გადამწყვეტ წუთებს. დეტროიტის წარმატებები, ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ კალათბურთი მარტო გიგანტების სპორტი არაა. „დეტროიტ პისტონსის“ სახით ნბა-ს აღიარებული ლიდერი ჰყავს.

ბოლო ხანებში „ჩიკაგო ბულსის“ წარმატებებს, რასაკვირველია, მაიკლ ჯორდანის სახელს უკავშირებენ. იგი გუნდის აღიარებული ლიდერია. დიდი ხნის განმავლობაში ჩიკაგო ერთი მოთამაშის გუნდი იყო, წლეულს მიმომხილველთა ყურადღება მიიპყრო სკოტი პ